# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

30 მაისი, ხუთშაბათი, 1991 წ.
№ 99 (10 512) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოლაპარაკება კამპომანესთან — პირველი რაუნდი

**გასულ ოთ** ალბათ, ამ დღეებში „ლელოში“ გამოქვეყნდა ცნობა, რომ ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონატზე მაია ჩიბურდანიძესა და ჩინელ სიუ ჟუნს შორის მატჩთან დაკავშირებული პრობლემების თაობაზე ფიდეს პრეზიდენტთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ჯ. ბაგრატიონი, მსოფლიოს ჩემპიონი მ. ჩიბურდანიძე და ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე ნ. ალექსანდრია.

ჩვენები უკვე დაბრუნდნენ თბილისში. ექსპრეს-ინტერვიუ დელეგაციის ხელმძღვანელთან ჯ. ბაგრატიონთან.

**● კამპომანესი თბილისში მოვიწვიეთ და არ ჩამოვიდა, შემდეგ მან სახერძნეთში, კუნძულ როდოსზე დაგვინიშნათ შეხვედრა, რატომ მაინც და მაინც სახერძნეთში და კუნძულზე?**

— საქმე იმაშია, რომ 25-26 მაისს იქ ტარდებოდა ფიდეს აღმასკომის სხდომა.

**● რა იყო მოლაპარაკების მთავარი თემა?**

— ძირითადად ქალთა შორის მოახლოებული მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ადგილის შერჩევა, ორგანიზაციულ საკითხებში, როგორც ჩვენი, ისე ჩინეთის მხარის შეთანხმება.

**● მთავარი ალბათ მაინც მაია ჩიბურდანიძის საქართველოს დროშით ასპარეზობის საკითხი იყო, რა გადაწყდა?**

— ფიდეს პრეზიდენტს კატეგორიულად განვუცხადე, რომ ჩიბურდანიძე არ ითამაშებდა სსრ კავშირის დროშით და სახელით. ამაზე კამპომანესმა განაცხადა, რომ ამჟამად გამორიცხულია საქართველოს სახელით ასპარეზობა, რადგან საქართველო არ არის ფიდეს წევრი. ფიდეს დროშით ასპარეზობა კი შესაძლოა არ მოეწონოს ჩინეთის მხარეს. სიტყვიერი შეთანხმებით გადაწყდა, რომ მაია დროშის გარეშე ითამაშებდა.

**● მატჩის ადგილის თაობაზე როგორ შეთანხმდით?**

— წინასწარი მოლაპარაკება წარმოებდა გონკონგთან და გერმანიის ქალაქებთან. კამპომანესმა თქვა, რომ ვინაიდან ორივე მხარე მატჩის „გახლეჩის“ წინააღმდეგია — ნაწილი ჩინეთში, ნაწილი საქართველოში. ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე უნდა გადაწყდესო. ჩვენ კი პრეზიდენტს აღმასკომის სხდომამდე შევხვდით. მერე ისიც დასძინა, რომ თუ ვერაფერი გადაწყდა იგი „საიდუმლო სვლას“ გამოიყენებდა მატჩის გადასარჩენად. ნაშუალამევს გაირკვა, რომ პრეზიდენტი „საიდუმლო სვლაში“ გულისხმობდა ფილიპინებს — თავის სამშობლოს, სადაც ორგანიზატორებმა საპრიზო ფონდისთვის 100 ათასი დოლარი გამოყვეს.

**● კიდევ რა საკითხი განიხილეთ?**

— მაიამ დაასახელა მთავარი მსაჯის კანდიდატურა — ჩეხი შაიტარი. მეორე დღეს, 26 მაისს მიგვიწვიეს აღმასკომის სხდომაზე, ყველა წევრს დაურიგდა საქართველოს საჭადრაკო სკოლის ძლიერების ამსახველი მასალები. თვით პრეზიდენტმა წარგვადგინა. აღმასკომს მე გავაცანი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მოთხოვნა ფიდეში გაწევრების თაობაზე. კამპომანესმა იქვე გააკეთა განცხადება, რომ ამ საკითხზე მსჯელობა შეუძლებელია სსრ კავშირში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო, რომ დამოუკიდებლობის დეკლარირება მნიშვნელოვანია, მაგრამ არა მთავარი ასეთი პრობლემის გადასაჭრელად. შემდეგ კამპომანესმა ხაზი გაუსვა, რომ ქართველი მოჭადრაკე ქალები წარმოადგენენ ფიდეს სიამაყეს და დიდებას, ამიტომ მათი ბედი ყველას აღელვებს. პრეზიდენტმა ამ საკითხის განხილვა აღმასკომს შესთავაზა ბერლინის კონგრესისთვის. სამწუხაროდ, საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

**● თქვენმა დელეგაციამ საქართველოში ახალშექმნილი დიდოსტატთა ასოციაციის ფიდეში გაწევრიანების მოთხოვნაც წაიღო...**

— ეს საკითხი აღმასკომის სხდომაზე მაია ჩიბურდანიძემ დააყენა, რასაც უფრო ოპტიმისტურად შეხვდნენ და იგი განსახილველად ფიდეს კონგრესს გადაეცა.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე ქალთა საერთაშორისო ტურნირთან დაკავშირებული საკითხები. აქ თავისი აზრი გამოთქვა ნანა ალექსანდრიამ. შემდეგ ნანამ აღმასკომს გააცნო მსოფლიოს თასის გათამაშების პირობები და პერსპექტივები.

**● თქვენ ზემოთ ახსენეთ პრეზიდენტის „საიდუმლო სვლა“. გამოდის, რომ მატჩი ფილიპინებში ჩატარდება...**

— მას შემდეგ, რაც ჩვენ ადგილის შერჩევის და მატჩის ჩატარების ვადების გადატანა მოვითხოვეთ, კამპომანესი არ დათანხმდა და მტკიცედ დაიცვა „საიდუმლო სვლის“ ვარიანტი. ასე რომ, სექტემბერი და ფილიპინები ძალაში რჩება.

2 ივნისს, საქართველოს სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი და რესპუბლიკის მთავრობის რამდენიმე წევრი მივლინებით მიემგზავრებიან ქ. საარბრუკენში და შეეცდებიან ლაფონტენისა და ზოგიერთი ფირმების წარმომადგენლებთან გამართონ მოლაპარაკება მატჩის გერმანიაში ჩატარების თაობაზე. გარდა ამისა, ჩვენი თანამემამულის გურამ ასათიანის მეშვეობით გაიგზავნა წერილი საფრანგეთში. თუ ერთ-ერთისგან მივიღეთ თანხმობა, შევეცდებით კიდევ დავაყენოთ ფიდეს წინაშე მატჩის ადგილის შეცვლის საკითხი, რაც ვფიქრობ, საეჭვოა.

**სურათზე:** საქართველოს დელეგაცია ფიდე-ს აღმასკომის წევრებთან.

## რღვევა მთავარი სამმართველოს აღსასრულის დროც დადგა

**დიახ**, ამიერიდან საკავშირო უწყება — მომარაგებისა და სპორტულ ლონისძიებათა უზრუნველყოფის მთავარი სამმართველო, ლიკვიდაციას აცხადებს. უფრო სწორად იგი მთლიანად მხოლოდ ორი თვის შემდეგ შეწყვეტს მუშაობას. მანამდე კი, როგორც წესი, ურთიერთობები უნდა გაარკვიოს იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც მთავარი სამმართველოს მიმართ პრეტენზიები შეიძლება გააჩნდეთ.

## ნიკი ლაუდა ნანობს

**„ჩემი სიკვდილი მირჩევნოდა 223 ადამიანის დაღუპვით გამოწვეული ტკივილის გადატანას“ — განაცხადა მსოფლიოში ცნობილმა ავტომრბოლმა.**

**როგორც** ცნობილია, ეს ტრაგედია „ბოინგ-767“ შეემთხვა, რომელიც ბანგკოკიდან ვენაში მიფრინავდა. თვითმფრინავი ჰაერში აფეთქდა, დაიღუპა 223 ადამიანი.

ამ ავიაკატასტროფამ მსოფლიო უურადღება იმითაც მიიპყრო, რომ თვითმფრინავი კერძო ავიაკომპანიას „ლაუდა-ეირს“ ეკუთვნოდა. ავიაბიზნესით „ფორმულა 1“-ში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ დაინტერესდა. საქმეც ჩინებულად აეწყო, მაგრამ...

ამბობენ, ბომბი სხვა თვითმფრინავისთვის იყო განკუთვნილი, მაგრამ შემთხვევით ნიკი ლაუდას ფირმის ავიალაინერში აღმოჩნდაო.

ბედისწერაც ამას ჰქვია.

## მორაგბეთა თავყრილობაზე

**გაიმართა** საქართველოს რაგბის კავშირის ყრილობა, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. კავშირის პრეზიდენტად აირჩიეს სრულიად საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის პროფკავშირთა რესპუბლიკური დამოუკიდებელი სათათბიროს თავმჯდომარე, ვეტერანი მორაგბე ნუგზარ ენდელაძე.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის დირექტორი კახი ასათიანი.

## აირჩიეს პრეზიდენტი

**თბილისის** ფეხბურთის ფედერაციის პლენუმმა საქალაქო ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩია ნოდარ ანდრიაძე.

## ...კაცი სინანულმა „გამოტეხა“

**წყალმოთხილამურეთა** მინსკის ტრადიციული ტურნირი ერთობ პრესტიჟულ შეჯიბრებად ითვლება. ამას, უპირველესად, თავად ბელორუს წყალმთხილამურეთა სიძლიერე და ავტორიტეტი განაპირობებს. ახლახან დასრულებულმა 24-ე ტურნირმაც საკმაოდ ძლიერ შემადგენლობას მოუყარა თავი — ცნობილ ბელორუს სპორტსმენებთან ერთად იასპარეზეს საქართველოს, უკრაინისა და ლიტვის წარმომადგენლებმა.

3-4 წლის წინ ზემოთ ნახსენებ ნაკრებთა ასპარეზობაში გუნდური შედეგების გამოცნობაზე იოლი არაფერი გახლდათ: მასპინძლების (რომელთაგან არაერთი საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი იყო და არის კიდეც) დამარცხება ბარე ბევრ ძლიერ გუნდს გაუჭირდებოდა, მეორე ადგილზე უეჭველად გავიდოდნენ უკრაინელები, რომლებიც ჩვენებსა და ლიტველებს გამოცდილებით აჯობებდნენ, ბალტიისპირელები კი ნამდვილად ვერ გაუმკლავდებოდნენ ნიჭიერი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ საქართველოს ნაკრებს.

სადღეისოდ ძალთა თანაფარდობა შეცვლილია, ჩვენ გასახარად, საქართველოს წყალმოთხილამურეთა სასარგებლოდ. საბუთად ერთი ფაქტიც კმარა: მინსკის წლევანდელი ტურნირის დასრულების შემდეგ ბელორუსთა მწვრთნელი გამოტყდა: ჩემს გოგოებს ერთი რამ დავავალე მხოლოდ — აუცილებლად აჯობეთ ზათუნა კორკელიას ტრამპლინიდან ხტომაშიო. ეს კაცი სინანულმა „გამოტეხა“, შეგირდებმა დავალება ვერ შეასრულეს — ბრმა ნაწლავის ოპერაციის შემდეგ ხათუნამ პირველად იასპარეზა ოფიციალურ შეჯიბრებაში და მისი დამარცხება ტრამპლინზე მაინც ვერავინ შეძლო (ხათუნას შედეგია 35,9 მეტრი). კორკელიას არც გენადი გურალია ჩამორჩა — 47,7 მეტრით მანაც პირველი ადგილი დაიკავა ტრამპლინიდან ხტომაში. ამ სახეობაში მეორე იყო საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი — ვასილი ბუდუროვი (44,7). ჯარიდან დაბრუნებულის კვალობაზე არც გიორგი სურგულაძეს უასპარეზია ურიგოდ — 39,9. ტრამპლინზე გამარჯვების შემდეგ გურალიამ სლალომშიც იმარჯვა. ასე რომ, მის უპირატესობას მრავალჭიდში წინ ვეღარავინ გადაუდგა. ქების ღირსია რევაზ ჭიხვარიაც — იგი ჯერ თექვსმეტი წლისაც არაა, მაგრამ სლალომში ბევრ ასაკით უფროს და გამოცდილ მეტოქეს აჯობა, მეოთხე ადგილი დაიკავა და სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ამ სპორტსმენების გარდა, ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდა ნატალია სოროკინაც.

რას ემსახურებოდა ტურნირში მონაწილეობა? ალბათ, ცხადია, ახსნა-განმარტება არ სჭირდება — რა თქმა უნდა, ფოთის მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას. დაგვეთანხმებით, შედეგები საიმედოა!

**ჩვენი ჯანმრთელობა, ჩვენს ხელთაა!** — **ვიმეცადინოთ სახლთან ახლოს**

# დიდ დიღომში, „ჩაუქში“...

**ამას** წინათ, გაიმართა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის სრულიად საქართველოს ასოციაციის სპეციალისტთა საბჭოში შემავალ მედიცინის მუშაკთა შეკრება. განიხილეს იმ ბავშვთა მკურნალობისა და ფიზიკური გაჯანსაღების საკითხი, რომლებისთვისაც ხერხემლის გამრუდების, ბრტყელტერფიანობის და სხვა დაავადებების გამო სამკურნალო ფიზკულტურა აუცილებელია. გადაწყდა, რომ ამ მოზარდებისთვის პირველი ჯგუფები უშუალოდ საცხოვრებელ მიკრორაიონში გაიხსნება თბილისში, დიდ დიღომში, 187-ე საშუალო სკოლის ბაზაზე, სადაც, როგორც სპეციალისტთა კომისიამ დაადასტურა საკანონმდებლო ინვენტარით აღჭურვის შემდეგ ნორმალური პირობები იქნება მუშაობის გაშლისათვის. ამ სკოლაში შეძენილი გამოცდილება შემდეგ განზოგადდება მთელს რესპუბლიკაში.

მაინც რატომ შეჩერდა არჩევანი 187-ე საშუალო სკოლაზე?

— საქმე იმაშია, რომ დიდ დიღომში გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი“, რომელიც მოწოდებულია უშუალოდ საცხოვრებელ მიკრორაიონში გაშალოს ფიზკულტურული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა — გვითხრა 187-ე სკოლის დირექტორმა გ. ზენაიშვილმა. ჩვენი სკოლის ბაზებს, რომელთა შორის საცურაო აუზიცაა, დიდი სიამოვნებით დავუთმობთ მომეცადინეებს, თუკი მუშაობა ორგანიზებულად წარიმართება. პირველ ყოვლისა, კი, „ჩაუქის“ გამგეობასთან შეთანხმებით, მზად ვართ, მოვემსახუროთ ჯანმრთელობაში გადახრების მქონე მოსწავლეებს. ჩვენთანაც არიან ასეთი ბავშვები, სკოლის საექიმო კაბინეტმა შეადგინა მათი სია. დიდ დიღომში კიდევ ორი სკოლა და საბავშვო ბაღია, იქაც დავაზუსტეთ კონტინგენტი, ასე რომ, ბავშვები დახმარებას ელიან და იგი დროული უნდა იყოს.

ზემოთ უკვე ვთქვეთ, რომ ეს სკოლა სპეციალისტებმა (ო. ვირუბოვი, თ. ქუთათელაძე, მ. რუხაძე), მოინახულეს. იქვე გადაწყდა, რომ ბავშვთა საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი (თ. ქუთათელაძე) სექტემბრამდე „ჩაუქის“ მიერ მივლინებულ კადრებს გადაამზადებს, პარალელურად სკოლაში შეიტანენ აუცილებელ სპორტულ ინვენტარს. მანამდე? მანამდე, უფრო სწორად, ივნისის პირველ ნახევარში „ჩაუქი“ უკვე „ჯანმრთელობა-ჯანმრთელობის დაცვას“ შეუდგება. გაიხსნება გამაჯანსაღებელი ჯგუფები ყველა ასაკის მსურველთათვის. ამით დასაბამს ეძლევა სპორტული ბაზებიც გამოცოცხლდება. პრაქტიკული ნამბიჯები 187 -ე სკოლის საცურაო აუზის ასამუშავებლად უკვე გადაიდგა, აქ სულ მალე გაიხსნება ცურვის შემსწავლელი და გამაჯანსაღებელი ჯგუფები იმ ბავშვებისათვის, რომლებიც არდადეგების პერიოდში, თბილისში რჩებიან.

ვისაც სურვილი აქვს, თავისი წვლილი შეიტანოს „ჩაუქის“ საქმიანობაში ვაცნობებთ კლუბის საბანკო ანგარიშის ნომერს: 100609930 საბურთალოს რაიონის ბინოკანკი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „ჩაუქი“. თანხის ჩარიცხვის შემდეგ გთხოვთ გვაცნობოთ „ლელოს“ რედაქციაში. შეგახსენებთ, რომ „ჩაუქი“ დიდ დიღომში „ლელოს“ თაოსნობით გაიხსნა.

**საერთო გამაჯანსაღებელი, აგრეთვე ცურვის შემსწავლელი და გამაჯანსაღებელ ჯგუფებში გაერთიანების მსურველებს „ჩაუქის“ გამგეობა 187-ე სკოლაში იწვევს შაბათს, 1 ივნისს, 17 საათზე. საერთო გამაჯანსაღებელ ჯგუფებში გაერთიანებულთათვის მეცადინეობის ყოველთვიური ღირებულების 70 პროცენტს კლუბის გამგეობა გადაიხდის. ამავე შეხვედრაზე კი იწვევენ აგრეთვე ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტებს ცურვის ინსტრუქტორებს. ანაზღაურება, საერთო ნორმებთან შედარებით, გასამმაგებულია.**

ადამიანი — მატიანის ფურცლებზე

# ბერძენიშვილების „საფეხბურთო დინასტიიდან“...

**ბიშა**, ბუკა, ვალოდია. სახელები ჰქონდათ სხვადასხვა, თორემ გვარი, მოგეხსენებათ, ერთი — ბერძენიშვილები.

მათგან ყველაზე უფროსის — უბადლო პენალტისტის მიხეილ ბერძენიშვილის შესახებ ბევრჯერ დაგვიწერია, მის უმცროს ძმაზე — ბუკაზე და „მხოლოდ“ მოგვარეზე — ვლადიმერ ბერძენიშვილზე კი ძალზე იშვიათად. დღეს „ლელოს“ ფურცლებზე მოვიწვიეთ ომამდელი თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი ცნობილი ფორვარდი, მარცხენა ინსაიდი ვლადიმერ ბერძენიშვილი.

დაბადების „მრგვალი“ თარიღი — 75 წელი, მას ორი წლის წინ შეუსრულდა. კაცოშვილი არ შეუწუხებია: არიქა, დაწერეთ ჩემზე რამეო, თბილისის „დინამოშიც“ ვიყავი და ბასკების წინააღმდეგაც ვითამაშეო!

...რუსთაველზე ხშირად ვხვდები, რატომღაც, ყავისფერი ჟოსტუმი თუ პალტო აცვია მეტწილად. დინჯად, წელში გამართული მიემართება პროსპექტზე...

...ფოთში დაიბადა, დალოცვილ ფოთში — ქართული ფეხბურთის ჭეშმარიტ აკვანში. ერთად ვცადეთ გაგვეხსენებინა, ვინ მოვიდა ამ ზღვისპირა ქალაქიდან დიდ ფეხბურთში ჩვენს „დინამოში“: ბორის პაიჭაძე, კაკო ყალიჩავა, საშა ელიავა, ედუარდ ნიკოლაიშვილი, გრიგოლ გაგუა, გვაჩი ჯორბენაძე, ასლან ხარბედია, კაკო იმნაძე, ხუტა ქოიავა, ვანიჩკა კინწურაშვილი, გიორგი ანთაძე, თითქოს არავინ გამოგვრჩა?

ვალოდია ბერძენიშვილი და გრიშა გაგუა ბავშვობის მეზობლები იყვნენ — კუნძულზე ცხოვრობდა ორივე, აი ბორია პაიჭაძე კი ცოტა შოშორებით, ზღვისპირას. თუმცა, ეს მათ მეგობრობას სულაც არ უშლიდა ხელს — სამივენი ერთი უბნის ბიჭები იყვნენ და სულმოუთქმელად დასდევდნენ ტყავის ბურთს (თუ იშოვნიდნენ, ცხადია!). მერე მეზღვაური ინგლისელებივით „ნამდვილი“ გუნდი ჩამოაყალიბეს — ნავსადგურის გუნდი. 16-17 წლისანი რომ გახდნენ, სოხუმიდან გადმოსულმა მწვრთნელმა ვანიჩკა მიქაძემ მეგობრები ფოთის ნაკრებში ჩარიცხა. ვალოდია ცენტრალურ თავდამსხმელად თამაშობდა, ბორია მის გვერდით — მარჯვნივ, ხოლო გრიშა უკან — ნახევარმცველი იყო.

მათ გარდა, გუნდში იყვნენ ვანიჩკა კინწურაშვილი, ხუტა ქოიავა, კაკო ყალიჩავა, გვაჩი ჯორბენაძე, საშა ელიავა, კაკო იმნაძე. კაპიტნად ყველაზე უფროსი — კაკო ყალიჩავა აირჩიეს. ფოთშიც ბევრი მატჩი ჩაატარეს და გასვლითი შეხვედრებიც ითამაშეს სენაკში, აბაშაში, სამტრედიაში... ადვილად იმარჯვებდნენ ფოთელები. მერე სოხუმშიც წავიდნენ გემით, იქაც მოიგეს თამაში. შემადგენლობაში მარჯვენა მცველი შერა მინჯია შემოიმატეს და გათამამებულებმა უკან დაბრუნების ნაცვლად, სულ სხვა მიმართულების გემში ჩასხდნენ — ტუაფსემდე იმგზავრეს, იქიდან კი მატარებლით დონბასისაკენ აიღეს გზა. 1933 წლის ზაფხული იყო...

— ფოთელმა ფეხბურთელებმა, ალბათ, მსოფლიო რეკორდი დავამყარეთ მაშინ — გვიამბობს ბატონი ვლადიმერი — დონბასში ოცდარვა დღეში... ოცდაორი მატჩი ვითამაშეთ. წარმოიდგინეთ, ყველა შეხვედრა მოვიგეთ, გარდა ერთისა. დონეცკელები, მაკეევკელები, გორლოვკელები, კადიევკელები — ყველა გვთხოვდა მათ გუნდთან გვეთამაშა.

ფოთის ნაკრებს „მთელს დუნიაზე“ გაუვარდა სახელი — ახლა მათთან სათამაშოდ ჩამოდიოდნენ ბათუმიდან, სოხუმიდან, ოდესიდან, ხარკოვიდან. ნავსადგურთან მდებარე სტადიონზე (ერთ მხარეს მას 4 თუ 5 დასაჯდომი რიგიც ჰქონდა) პირდაპირ ტევა არ იყო. ახლა უკვე პორტში გემებით შემოსული ინგლისელი, რუმინელი, ბულგარელი, ესპანელი მეზღვაურები გაკვირვებულნი ადევნებდნენ თვალყურს ადგილობრივ ფეხბურთელების თამაშს.

...1934 წელს ფოთელები კაკო ყალიჩავა, ედუარდ ნიკოლაიშვილი, გვაჩი ჯორბენაძე, და ბორის პაიჭაძე თბილისში გადმოვიდნენ ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში სასწავლებლად, გრიშა გაგუა, ვანიჩკა კინწურაშვილი, ასლან ხარბედია და ვლადიმერ ბერძენიშვილი კი — უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. საშა ელიავამ იქვე უნივერსიტეტის ფეხბურთელთა გუნდში „განაწესა“ ოთხივე. მომდევნო სეზონში კი ეს ოთხეული თბილისის „დინამოში“ აიყვანეს. აქ მათ დახვდნენ ტყავის ბურთის ისეთი ოსტატები, როგორნიც იყვნენ შოთა შავგულიძე, ძმები ბერძენიშვილები, მიხაილ ასლამაზოვი, ნიკოლაი სომოვი, ალექსანდრ დოროხოვი და სხვა. მომდევნო წელს „დინამოში“ გადმოიყვანეს აგრეთვე გვაჩი ჯორბენაძე, კაკო ყალიჩავა, მერე კი — ტიტე ჯორჯიკია.

— ერთხანს „დინამოში“ ერთბაშად ოთელი ფოთელი ვთამაშობდით. რომ იტყვიან, ყველა ერთისათვის და ერთი — ყველასათვის!

ვლადიმერ ბერძენიშვილი „დინამოშიც“ ცენტრალურ თავდამსხმელად მიიღეს, მაგრამ ბორის პაიჭაძის მოსვლის შემდეგ, გუნდში, იგი მარცხენა ინსაიდად გადავიდა. სწრაფი, ტექნიკური ფეხბურთელი ერთნაირად ძლიერად თამაშობდა ორივე ფეხით.

შესანიშნავი მწვრთნელების ხელში მოხვდა ეს ნიჭიერი ფეხბურთელი. იმ ხუთი სეზონის განმავლობაში, რომელშიც ვ. ბერძენიშვილი ჩვენს უპირველეს გუნდში თამაშობდა, მას ავარჯიშებდნენ „ჩეხოსლოვაკიელი ფრანგი“ ჟიულ ლამბეკი, მოსკოველი ალექსეი სოკოლოვი და ლენინგრადელი მიხაილ ბუტუსოვი.

— სამივენი დიდებული სპეციალისტები იყვნენ, ძალზე მომთხოვნი, თუმცა მუდამ სამართლიანნი. ვერც ერთი მათგანი ვერ იტანდა გულგრილ დამოკიდებულებას თამაშის თუ ვარჯიშისას. ერთხელ „დინამოს“ სტადიონის სათადარიგო მოედანზე ვარჯიშის დროს, როდესაც, ბურთი გაექცა ჩვენს ერთ-ერთ გამოცდილ ფეხბურთელს, ლიმბეკი საშინლად გაბრაზდა — რა კოქლი ცხენივით მისდევ ბურთს, აბა, მიდი ორი წრე „დაარტყი“ მოედანს!... საერთოდ, იმხანად ფეხბურთელები მკაცრად ვიცავდით რეჟიმს, შინ მხოლოდ თამაშის შემდეგ გვიშვებდნენ, მეორე დღეს კი ისევ ვარჯიში გვქონდა. რეგულარულად დავრბოდით კროსებს — დიდუბის ძველ იპოდრომზეც კი ვეჯიბრებოდით ერთმანეთს.

მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, სტალინგრადში და სხვა ქალაქებში თბილისის „დინამოს“ თამაშით

1937 წლის 30 აგვისტოს ჩემპიონატის მატჩი ნევიპირა ქალაქში: „დინამო“ (ლენინგრადი) — „დინამო“ (თბილისი). 2:0 — გაიმარჯვეს ქართველმა ფეხბურთელებმა. მეტოქის კარს უტევენ ვლადიმერ ბერძენიშვილი (ბურთით), ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა (მინდვრის სიღრმეში)) და მიხაილ მინაევი.

ი. ბოგოიავლენსკის (ლენინგრადი) ფოტო.

დღეს სტუმრებისგან განსაკუთრებით კარგად ითამაშა ვ. ბერძენიშვილმა. მ. ბუტუსოვი, რომელიც მასპინძელთა კარის უკან იდგა, გამუდმებით უყვიროდა მარჯვენა მცველ დანილოვს — „დერეფი ბერძენიშვილი!“

● **სწორედ თქვენ გახსენით ანგარიში ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში 1937 წლის 16 ივლისს მოსკოვის „დინამოსთან“. მე-19 წუთზე იყო ეს...**

— როგორც იცით, წინა წლის ფინალი მოსკოვის „ლოკომოტივთან“ წავაგეთ 0:2, გვეგონა, ახლა მაინც ჩამოვიტანდით თასს თბილისში, მაგრამ გაგიგონია! მოედანზე მოსკოველებს... მეთორმეტე მოთამაშე ჰყავდათ — მსაჯი სტრეპიხეევი. ჩემს გოლს, ზუსტად ორ წუთში, მეტად საეჭვო პენალტი მოჰყვა ჩვენს კარში. იგი სმირნოვმა გაიტანა, ხოლო კიდევ ერთი წუთის შემდეგ, მოსკოველები უკვე გულშემატკივრები იმდენად აღტაცებულნი იყვნენ, რომ მატჩებზე დასასწრებ ბილეთებს ორი-სამი დღით ადრე ვეღარ იშოვნიდნ. ქართველ ფეხბურთელთა ტექნიკური სწრაფი, ტემპერამენტიანი, ცოცხლოვანი თამაში გულგრილს არ ტოვებდა დიდი სტადიონების ტრიბუნებს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამაში „ბრალი“ ვლადიმერ ბერძენიშვილსაც მიუძღვის.

● **მაინც რომელი მატჩი დაგამახსოვრდათ ყველაზე მეტად?**

— ცხადია, 1939 წლის შეხვედრა თბილისში ცსკა-სთან, აი ის, 1:4 რომ ვაგებდით და 5:4 რომ გავიმარჯვეთ. იმ დღეს მატჩის დამთავრებამდე 20 წუთით ადრე, გამომიყვანეს სათამაშოდ. ერთი ბურთი მეც გავიტანე, მერე ჩვენმა მწვრთნელმა მიხაილ ბუტუსოვმა შემიქო თამაში.

**გახსენებაზე: 1937 წლის 30 აგვისტოს ლენინგრადში ჩვენები თამაშობდნენ ადგილობრივ დინამოელებთან. მატჩი 2:0 მოვიგეთ. იმ დროს ნევიპირა ქალაქში „ბალტიკა“ ითამაშებდა ინგლისელ „ბოლტონთან“. ეს ინგლისელები ჩამოსულნი იყვნენ ლენინგრადელ „ზენიტთან“ ერთად ტურნირზე. მეექვსე შეხვედრა კიევში ქონდათ და ახლა, მოსკოველებისგან ძალიან ბევრ ფულს ითხოვდნენ ერთად - ხარკოვამდე. სადგურებში ბასკებს ერთადერთ გულშემატკივარ ხვდებოდა — ოტაკარ ბუბნი. ბოლოს ვეშლებოდით ამ შავგვრემან ფეხბურთელებში და... ყვავილებს გვაწვდიდნენ, ბასკები რომლებმაც მოსკოვში ჩვენი თამაში იხილეს, პირდაპირ გვეუბნებოდნენ — ყველაზე მეტად თამაში, ალბათ, თქვენთან გაგვიჭირდება. მართლაც, ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ბასკები შეუდარებელნი იყვნენ. განსაკუთრებით გამორჩეოდა მათი ცენტრფორვარდი ისიდრო ლანგარა. ძლიერი, ტანმოსული ფეხბურთელი იყო, საშინელი ძალის დარტყმა ჰქონდა — პირდაპირ „ლეწავდა“ შტანგებს. მახსოვს, „ორიანტში“ გამართულ ბანკეტზე ის და მისი თანაგუნდელები რა დიდებულად აგვყვნენ ჩვენი ქართული „სულიერ“ სიმღერისას. ვერ გაარჩევდით, მასპინძლები მღეროდნენ თუ სტუმრები. თქვენი სიმღერები ძალიან გვაგონებს ჩვენს სიმღერებს, თქვენი ღვინოც წააგავს ჩვენსასო...**

● **არ შეიძლება ძველ ფეხბურთელს დღევანდელ ქართულ ფეხბურთზე არ დავეკითხოთ — ეგებ გაქვთ სურვილი რაიმე თქვათ?**

— პოეტის თქმისა არ იყოს, „ამ დღეს ველოდი, მოვესწარ...“ ცხადია, ვლოცავ ჩვენს ახალგაზრდა ფეხბურთელებს, როგორც მამა, თუ გნებავთ, პაპა. ერთი კი ცხადია: რაც შეიძლება ძლიერ გუნდებთან უნდა ვითამაშოთ, რაც შეიძლება მალე გავხდეთ ოფიციალური საერთაშორისო ტურნირების მონაწილენი. ამასთან, არა მარტო საკლუბო გუნდებით, არამედ რესპუბლიკის ნაკრებითაც. აი, მაშინ ნამდვილად გაიზრდებიან ნიჭიერი ოსტატები ქართულ ფეხბურთში, რომელიც მუდამ გამოირჩეოდა ნამდვილი ტალანტებით.

**ოთარ ნოზაძე**

---

ზურაბ ქარაბაკის პატივსაცემად

**ბაღდადის რაიონის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ მ. ზივზივაძემ გვაცნობა:**

ბაღდადში, ამ რაიონის მკვიდრის, კალათბურთში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზურაბ ქარაბაკის პატივსაცემად ჩატარდა რესპუბლიკური ტურნირი, რომელშიც 1977_1978 წლებში დაბადებული კალათბურთელები ასპარეზობდნენ. ფინალში ქუთაისის ნაკრები შეხვდა ტურნირის მასპინძლებს და გაიმარჯვა. მეორე ადგილზე ფოთის გუნდი გავიდა.

ტურნირი ბაღდადის რაიონის სპორტკომიტეტის თაოსნობით მოეწყო.

ქუთაისი — სპორტს!

## დახმარება — წინსვლის სტიმული

**რა უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ ქუთაისს — ქალაქს, სადაც აღიზარდა და სპორტსმენად ჩამოყალიბდა ხახელგანთქმული ქართველი მშვილდოსანი ქეთევან ლოსაბერიძე, მშვილდოსნობის უბრალო ბაზაც არ გააჩნდა.**

მდგომარეობის გამოსწორება ქალაქის ტერიტორიულ-სამეურნეო-ბათაშორისო გაერთიანებამ იკისრა. შარშან ამ გაერთიანებამ 100 ათასამდე მანეთი გაიღო სპორტკომბინატის ტერიტორიაზე მშვილდოსნობის დარბაზის ასაგებად.

საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა საყოფაცხოვრებო მომსახურების სარემონტო-სამშენებლო უბნის (უფროსი ოთარ ედიბერიძე) კოლექტივი და, შეიძლება ითქვას, რომ 80 მეტრი სიგრძის დარბაზის მშენებლობა დასრულდა, მხოლოდ მომპირკეთებლებსღა დარჩათ საბუშაო.

ცოტაც და ქუთაისელი მშვილდოსნები ახალ ბაზაზე შეუდგებიან წვრთნას, აქ მათ ყველა პირობა ექნებათ შექმნილი მაღალი სპორტული შედეგების მისაღწევად.

სხვათა შორის, სპორტკომბინატის ტერიტორიაზე საჩოგბურთო კორტების მოწესრიგებაც ამავე სარემონტო-სამშენებლო უბანმა იკისრა. საქმეს კარგი პირი უჭირს და, იმედია, წლის მიწურულს ქუთაისელი ჩოგბურთის მოყვარულები კეთილმოწყობილ, თანამედროვე კორტებზე ივარჯიშებენ.

## „შევარდენის“ ეგიდით

**ამ ბოლო ხანს სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ ქუთაისის საქალაქო საბჭოს თაოსნობით რამდენიმე საინტერესო შეჯიბრება მოეწყო.**

● გაიმართა საქალაქო პირველობა აგრომრეწვის საწარმოთა და ორგანიზაციათა ძირეულ ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის მკლავჭიდში, რომელშიც „კოოპვაჭრობის“ წარმომადგენლებმა გაიმარჯვეს. მეორე ადგილზე გავიდა საწარმოო გაერთიანება „ქუთაისპურის“ გუნდი, მესამეზე — მინის ქარხნის მკლავჭიდელები.

● ოთხ ეტაპად ჩატარდა ქალაქის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში. ფინალურ ტურნირში ყველას აჯობეს საავტომობილო ქარხნის სპორტკლუბ „კოლხიდას“ წევრებმა, მეორე და მესამე ადგილებზე, შესაბამისად, სატრაქტორო ქარხნისა და სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის საქალაქო კომიტეტის გუნდები გავიდნენ.

● 120-ზე მეტმა სპორტსმენმა იასპარეზა მძლეოსნურ კროსში. გოგოებს შორის 1000 და 2000 მეტრ დისტანციებზე პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი ც. ნანიკაშვილმა და ი. გელაშვილმა. ვაჟებში 2000, 3000 და 5000 მეტრ დისტანციებზე იმარჯვეს მ. ცუცქირიძემ, ა. ნერსესიანმა და კ. გაბუნიამ.

**იუზა კაციტაძე,**
**„ლელოს“ კორ.**
**ქუთაისი.**

# საქართველოს ერროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„ცხუმი“ (სოხუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 5:1 (4:0)**

**სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 28 მაისი.**

**„ცხუმი“:** ფორფოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, კურგენიანი, ხ. მალანია, ა. სიჭინავა (თ. სიჭინავა), ჯიშკარიანი, პაპავა, გოგრიჭიანი, ცაავა, გაბისკირია (ჯეჯელავა).

**„ოდიში“:** ჭანტურია (გელენავა), კვიტატიანი, ნაჭყებია, ო. თუთბერიძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, მ. მალანია, შეროზია, ბიგვავა, ყიზილაშვილი (გოგოხია), თევზაძე (ტიბუა).

**მსაჯები: თ. ლაცაბიძე (ხაშური), ზ. ლაცაბიძე, ზ. დარჩია (ორივე — თბილისი).**

**ეს** შეხვედრა XIV ტურის სხვა მატჩებთან ერთად 30 მაისს უნდა გამართულიყო, მაგრამ, ვინაიდან სოხუმის ცენტრალური სტადიონი ერთდროულად ქალაქის ორ გუნდს — „ცხუმს“ და „დინამოს“ ემსახურება და ამ უკანასკნელმა 30 მაისს ბაქოს „ნეფთჩის“ უნდა უმასპინძლოს, მხარეთა შეთანხმებით „ცხუმმა“ „ოდიში“ განსაზღვრულზე ორი დღით ადრე მიიღო.

შეხვედრის დასაწყისშივე „ცხუმმა“ აქტიურად შეუტია სტუმართა კარს და მე-10 წუთზე გაბისკირიამ. ლამაზი გოლი გაიტანა. ორი წუთის შემდეგ გოგრიჭიანმა მეორედ აიღო „ოდიშის“ კარი.

ზუგდიდელთა იშვიათ კონტრიერიშებს შედეგი არ მოჰყოლია, რადგან ფხიზლად თამაშობდა სოხუმელთა დაცვის ხაზი, რომელიც საჯარიმოს მისადგომებთანავე იგერიებდა მეტოქეთა შეტევებს.

25-ე წუთზე იური გაბისკირიამ შორი მანძილიდან დაარტყა და სტუმრებს მესამედ მოუხდათ ცენტრიდან თამაშის დაწყება. ცოტა ხანში გოგრიჭიანის, მალანიას და ცაავას დარტყმები მოიგერიეს „ოდიშის“ მცველებმა და მეკარემ. და მაინც, 38-ე წუთზე მ. ჯიშკარიანმა ტექნიკურად აართვა ბურთი ერთ-ერთ ზუგდიდელს, გავიდა მეკარესთან პირისპირ და ოთხამდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ტაიმის დასაწყისში სტუმრებმა შეძლეს ერთი ბურთის გაქვითვა — გოლის „ავტორი“ მელორ ბიგვავა გახლდათ.

შეხვედრას კი წერტილი გოგრიჭიანმა დაუსვა, რომელმაც მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მეხუთე გოლი გაიტანა „ოდიშის“ კარში.

**თენგიზ პაპკორია,**
**„ლელოს“ საკ. კორ.**

## I ჯგუფი

27 მაისს გაიმართა მე-9 ტურის გამოტოვებული მატჩები:

**„ქართლი“ (გორის რ-ნი) — „ეგრისი“ (სენაკი) 1:0. მსაჯი გ. ახკაროღლი (ქარელი).** გოლი: ტაბატაძე („ქართლი“).

დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს გ. ნაჭყებია („ეგრისი“).

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „იმერეთი“ (ხონი) 1:0. მსაჯი ა. უიეიაშვილი (მცხეთა).** გოლი: კედელაძე („შუქურა“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „კახეთი“ (თელავი) 4:2. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: გეწაძე, გურაბანიძე, ჩინჩალაძე, ჯულუხაძე („საპოვნელა“), სანიკიძე, აფაქიძე („კახეთი“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს დ. სანიკიძე („კახეთი“), მოწინააღმდეგის ხელით დაჭერისათვის — ა. მახათაძე („საპოვნელა“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 0:2. მსაჯი ზ. ბერიძე (თბილისი).** გოლები: კანკია, ფანჩულიძე („ოკრიბა“).

სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისთვის გააფრთხილეს გელა ფანჩულიძე („ოკრიბა“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 4:0. მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ხუციურაული-2, კანდელაკი-2 („არმაზი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ზ. თურმანიძე, თ. სირაძე (ორივე — სტუ), უხეში თამაშისთვის — ჭ. სონღულაშვილი („არმაზი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — ფიზკ. ინსტ. (თბილისი) 0:0. მსაჯი ლ. რაზმაძე (გორი).**

არასპორტული საქციელისთვის გააფრთხილეს კ. ტოგონიძე, სასტვენის შემდეგ ბურთის გადაგდებისათვის კ. კვეტენაძე (ორივე — ფიზკ. ინსტ), უხეში თამაშისთვის — გ. ტერტერაშვილი („ბახტრიონი“).

**„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „დურუჯი“ (ყვარელი) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლი: ჯაკონია („სამეგრელო“).

**ფიზკ. ინსტ. (თბილისი) — საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (თბილისი) 4:2. მსაჯი შ. ბერიძე (თბილისი).** გოლები: კვეტენაძე, ტოგონიძე-3. (ფიზკ. ინსტ), თურმანიძე, ხურცილავა (სტუ).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ხ. ხართიშვილი (სტუ).

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „ოკრიბა“ (ტყიბული) 0:0. მსაჯი ზ. ლაცაბიძე (თბილისი).** მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ვ. წერეთელი, მ. კანკია, დროს გაყვანისთვის — ზ. კალატოზი (სამივე — „ოკრიბა“).

**„ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „მრეტები“ (თბილისი) 2:1. მსაჯი ვ. ხეჩოიანი (თბილისი).** გოლები: კვირკველია, ცომაკურიძე („სამეგრელო“), ტყავაძე („მრეტები“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს მ. ქვილითაია („სამეგრელო“), არასპორტული საქციელისათვის — გ. ტყავაძე, უხეში თამაშისათვის — კ. სიდამონიძე (ორივე — „მრეტები“).

**„არმაზი“ (მცხეთა) — „არაგვი“ (დუშეთი) 1:0. მსაჯი გ. კალანდია (ზუგდიდი).** გოლი: ხუციურაული („არმაზი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ტ. ბაქრაძე („არმაზი“).

**„სიონი“ (ბოლნისი) — „სიხარული-90“ (ზუგდიდი). მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: მელესეშვილი, ეგულავა, ბადიძე-2 („სიონი“), ჭინჭარაული, მანაგაძე („სიხარული-90“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ტ. მანაგაძე („სიხარული-90“).

**„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:2. მსაჯი ლ. რაზმაძე (გორი).** გოლები: სევასტოპულო-2 („მაღაროელი“), ღონღლაძე, გოგმაჩაძე („შუქურა“).

დროის გაყვანისთვის გააფრთხილეს ა. ანანიძე და გ. გოგმაჩაძე („შუქურა“).

**„სქური“ (წალენჯიხა) — „ეგრისი“ (სენაკი) 1:0. მსაჯი პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).** გოლი: კვირტია („სქური“).

გვერდით მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს კ. მელქაძე („ეგრისი“).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 0:0. მსაჯი გ. ცირდავა (გულრიფში).**

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ე. გელაშვილი, დროის გაყვანისათვის — ს. ელკანოვი (ორივე — „ქართლი“).

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 30 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მრეტები“ (თბილისი) | 9 | 7 | 0 | 2 | 13-6 | 21 |
| „კახეთი“ (თელავი) | 11 | 6 | 2 | 3 | 23-10 | 20 |
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 11 | 6 | 2 | 3 | 18-8 | 20 |
| „საპოვნელა“ (თერჯოლა) | 12 | 6 | 2 | 4 | 15-12 | 20 |
| „სქური“ (წალენჯიხა) | 11 | 5 | 4 | 2 | 14-11 | 19 |
| „არმაზი“ (მცხეთა) | 11 | 5 | 2 | 4 | 16-11 | 17 |
| „ოკრიბა“ (ტყიბული) | 10 | 5 | 2 | 3 | 9-6 | 17 |
| „დურუჯი“ (ყვარელი) | 10 | 5 | 1 | 4 | 11-8 | 16 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 10 | 4 | 3 | 3 | 18-12 | 15 |
| „ხამეგრელო“ (ჩხოროწყუ) | 10 | 4 | 3 | 3 | 8-9 | 15 |
| „ეგრისი“ (სენაკი) | 12 | 4 | 3 | 5 | 11-18 | 15 |
| „ქართლი“ (გორის რ-ნი) | 11 | 4 | 1 | 6 | 10-10 | 13 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 9 | 3 | 2 | 4 | 10-11 | 11 |
| სტუ | 10 | 3 | 2 | 5 | 13-17 | 11 |
| ფიზ. ინსტ. (თბილისი) | 10 | 3 | 1 | 6 | 11-19 | 10 |
| „იმერეთი“ (ხონი) | 10 | 2 | 3 | 5 | 6-13 | 9 |
| „სიონი“ (ბოლნისი) | 11 | 1 | 4 | 6 | 9-18 | 7 |
| „სიხარული-90“ (გაგრა) | 10 | 0 | 5 | 5 | 6-17 | 5 |

ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან იმ დებაზის შესახებ, რომელიც ამ რამდენიმე ხანის წინათ დოხეკაში „შახტიორის“ სტადიონზე მოხდა. გუშინ რედაქციამ მიიღო „უკრაინინფორმის“ ფოტო, რომელზეც „შახტიორის“ სტადიონზე გულშემატკივართა ხულიგნობის ერთ-ერთი მომენტია აღბეჭდილი.

# სენსაციის ხარისხს გააჩნია

## ლეილა მესხი — მეორე ტურში

**პარიზი.** საფრანგეთის ჩოგბურთელთა ლიგა ჩემპიონატის პირველ ტურში ანდრეი ჩერკასოვის გამარჯვება 32 წლის ამერიკელ ჯონ მაკინროუსთან საბჭოთა პრესამ სტარტის ერთ-ერთ მთავარ სენსაციად გამოაცხადა და სპორტსმენს დიდ წარმატებად ჩაუთვალა. მაგრამ ეს მთლად ასე არ არის და აი რატომ:

ჯერ ერთი, 32 წლის „ტირაჟიდან გასული“ ჩოგბურთელის დამამარცხება, რომელსაც, ამასთან, გადაწყვეტილი აქვს თამაშს თავი დანებოს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამოსათხოვარ ტურნირს ატარებს, ვერაფერი დიდი მიღწევაა ახალგაზრდა, ჯან-ღონით სავსე ჩოგბურთელისთვის, რომლისგანაც კარგა ხანია ფასეულ წარმატებებს ელიან.

ამასთან, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მაკინროუ, თავისი დიდების ზენიტშიც საკმაოდ სუსტად გამოდიოდა მიწის მოედნებზე და მათ „ნელ კორტებად“ თვლიდა. მან მხოლოდ ერთხელ, 1984 წელს მიაღწია საფრანგეთის ლიგა ჩემპიონატის ფინალს. არადა, იგი ამ დროს მსოფლიოს პირველი ნომერი ჩოგბურთელი იყო, „დიდი მუზარადის“ შვიდი სხვადასხვა ტურნირის გამარჯვებული. ერთი სიტყვით, მაკინროუს დამარცხება ჩერკასოვისთვის დიდი ვერაფერი სტიმულია, თუ მას ახალი გამარჯვებები არ მოჰყვა. არადა, მეორე წრეში ჩერკასოვს გაცილებით უფრო სერიოზული მეტოქე ჰყავს, უიმბლდონის ყოფილი ჩემპიონი, ავსტრალიელი პატ კეში, რომელმაც აქ, „როლან გაროსის“ კორტებზე, პირველ წრეში უნგრელი შანდორ ნოშალი დაამარცხა 6:4, 7:6.

რამდენიმე სიტყვა წლევანდელი „დიდი მუზარადის“ ამ რიგით მეორე ტურნირზე (პირველი გახლავთ ავსტრალიის ლია ჩემპიონატი, რომელიც, ტრადიციულად, წლის დასაწყისში ტარდება. წლეულს ეს შეჯიბრება ვაჟთა შორის გერმანელმა ბორის ბეკერმა მოიგო, ქალებში — იუგოსლავიელმა მონიკა სელეშმა). საქმე ის გახლავთ, რომ პროფესიულ სპორტსმენთა გაზრდილი მატერიალური სტიმულირების ფონზე საფრანგეთის ლია ჩემპიონატის საპრემიო ფონდიც საკმაოდ „ღონივრად“ გამოიყურება (6,6 მილიონი დოლარი), რაც დამატებით სტიმულს აძლევს მოსპარეზეებს. ყოველი გამარჯვება ასე თუ ისე უნდა ანაზღაურდეს საპრემიო შკალაში და, რა გასაკვირია, რომ ჩოგბურთელები ერთი ორად უფრო მონდომებით იბრძვიან წარმატებისთვის.

ერთი სიტყვით, გათამაშების მეორე ტურში გასვლა უკვე ეკონომიკური თვალსაზრისითაც სარფიანია. სასტარტო ზღურბლის დაძლევა ერთობ გაუჭირდა საფრანგეთის პირველ ჩოგანს გი ფორეტს. მალივან ვაშინგტონმა ბრძოლა მხოლოდ ხუთ პარტიაში დათმო — 5:7, 6:2, 5:7, 6:1, 5:7. მოულოდნელი მარცხი განიცადა მე-16 ნომრად განთესილმა ბრედ ჯილბერტმა (აშშ). იგი დამარცხდა ფრანგ სედრიკ პიოლინოსთან, რომელიც წლეულს გახდა პროფესიონალი — 4:6, 6:2, 1:6, 4:6.

იოლად გაიმარჯვა პირველ ტურში ჩვენმა თანამემამულემ ლეილა მესხმა. მან ერთნაირი ანგარიშით (6:2, 6:2) დაამარცხა ავსტრიელი სანდრა დოპფერი. მესხი ამ ტურნირში მე-14 ნომრად არის განთესილი.

მეორე წრეში თამაშის უფლება მოიპოვა, ასევე, არგენტინელმა გაბრიელა საბატინიმ, რომელმაც ამერიკელ მარიან უერდლს აჯობა — 6:1, 6:1.

და კიდევ ერთი საინტერესო ცნობა: საფრანგეთის ლია ჩემპიონატის პირველი ტურის მატჩებს „როლან გაროსის“ კორტებზე 27.604 მაყურებელი დაესწრო.

## საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

**ერროვნული ლიგა. VI ტური.**

**თბილისი. ვარკეთილის სტადიონი. 27 მაისი.**

**„რაში“ (თბილისი) — „მიმინო“ (თბილისი) 16:40 (7:22).**

**„რაში“:** გ. ცინცაძე, ლეკვეიშვილი, წოწელია, კეკელიძე, უვანია, თ. ცინცაძე, გაბაშვილი, ჯულელი, ჭიპაშვილი (ბაციკაძე), ჭილაძე (გიგინეიშვილი), ჯოხია, კ. ცინცაძე (დაუშვილი), ჩანქსელიანი, კიკნაძე, ჭურღულაშვილი.

**„მიმინო“:** გეგეჭკორი, ბრაგვაძე (ჩიხლაძე), კურატიშვილი, კ. ალანია, ზ. ალანია, ძნელაძე, ნატროშვილი, აბრამიშვილი, ძიძაძე, პატარაია (გლოიანი), ზოიძე, დევდარიანი (კვანტალიანი), ალავიძე, ფერაძე, მგელაძე.

**მსაჯი: გოჩა აბაშიძე (თბილისი).**

**გაძევეს: თ. ცინცაძე („რაში“), და ფერაძე („მიმინო“).**

მიმინოელთა წარმატება ამ თამაშში განაპირობა მესამე ხაზის და მისი ლიდერის ნუგზარ მგელაძის აქტიურობამ. მგელაძემ ორი ლელო გაიტანა, ჭკვიანურად ათამაშა მთელი შერკინება და დაცვაშიც უშეცდომოდ მოქმედებდა.

ანგარიში „რაშის“ დამრტყმელებმა თემურ ცინცაძემ გახსნა საჯარიმოთი, რასაც წამსვე მოჰყვა ფერაძის ძალისმიერი ლელო. ამ მომენტიდან „მიმინომ“ მთელი ძალით შეუტია და მგელაძემ ხუთ წუთში ორი ლელო გაიტანა: პირველად მეტოქეებთან ჰიდილში, მეორედ კი შეუმჩნეველად „დაუძვრა“, მოლიდან „რაშის“ მორკინალებს. ამ ორ ლელოს შორის, ბრაგვაძემ შედეგიანად დაასრულა თანაგუნდელების მიერ გათამაშებული მარაო. სამი ლელო გარდასახა ნატროშვილმა.

ანგარიშში დიდმა სხვაობამ „რაში“ გამოაფხიზლა, პირველი ნახევრის ბოლომდე მეტოქის მოედანზეც ტრიალებდა, მაგრამ მიზანს მხოლოდ ერთხელ მიაღწია: ლეკვეიშვილი გაექცა მცველებს და ლელო გაიტანა.

შესვენების შემდეგ თ. ცინცაძემ საჯარიმო შეაგდო და ამის მერე, სათამაშო ინიციატივას მიმინოელები დაეუფლნენ. ჯერ ალავიძემ დაამიწა ბურთი, შემდეგ გეგეჭკორმა შეაგორა იგი ფეხით მეტოქის ლელოში და ზურაბ ალანიამ თავის გამოჩენის საშუალება მისცა.

მომდევნო ლელო კი ყველაზე ეფექტური გახლდათ: ბრაგვაძემ საკუთარ 22-მეტრიან მოედანზე მიიღო ბურთი, ფინტებით, გასცდა ყველა შემხვედრს და უკვე მეტრქის ლელოსთან გადაწოდა დევდარიანს, რომელიც იქვე შებოჭეს, მაგრამ მას ისევ ბრაგვაძე წამოეშველა დროულად და ლელო გაიტანა. ერთხელაც ჯახი ალანიამ დააგვირგვინა თანაგუნდელთა იერიში, ნატროშვილმა კი გარდასახვა გამოიყენა.

„რაში“ ეპიზოდურადღა უტევდა და ჯულელმა ორად ორი საჯარიმოს გატანა მოახერხა.

„ვესტა“ (თბილისი) — „იმერეთი“ (ჭიათურა) 65:8 (28:4).

„გელათი“ (ქუთაისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 11:0 (4:0).

თბილისის „აკადემია“ არ ჩავიდა ქუთაისში „აიასთან“ სათამაშოდ.

## პირველი ლიგა

### ამერის ჯგუფი

„მარიხი“ — „ივერია“ 14:4.

„უნივერსიტეტი“ — „რუსთავი-1990“ — 19:20.

„აკადემია-2“ — „სამედიცინო“ 14:31.

### იმერის ჯგუფი

„გელათის სკოლა“ (ქუთაისი) — „ჯანი“ (ჩოხატაური) 8:20

„სათაფლია“ (წყალტუბო) — „აიეტი“ (ქუთაისი) 19:11

ეროვნული ლიგის სატურნირო ცხრილი

**მდგომარეობა 30 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „აია“ | 5 | 5 | 0 | 0 | 20 |
| „გელათი“ | 6 | 4 | 1 | 1 | 19 |
| „ვესტა“ | 5 | 4 | 0 | 1 | 16 |
| „მიმინო“ | 5 | 2 | 1 | 2 | 12 |
| „შევარდენი“ | 4 | 1 | 0 | 3 | 7 |
| „რაში“ | 4 | 1 | 0 | 3 | 7 |
| „ყოჩები“ | 4 | 0 | 2 | 2 | 6 |
| „იმერეთი“ | 3 | 1 | 0 | 2 | 6 |
| „აკადემია“ | 5 | 0 | 0 | 5 | 4 |

## „მერანი“ № 6

**როგორც** ჭადრაკის გულშემატკივრებმა იციან, 2 მაისს თბილისის რესპუბლიკურ ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს დამოუკიდებელი სჭაადრაკო ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. სწორედ ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეხება საჭადრაკო გაზეთ „მერანის“ ახალი მეექვსე ნომრის 2–3 გვერდი.

„მერანის“ (ამ ნომერში დიდი ადგილი ეთმობა ვასილ ვაშაკიძის ინტერვიუს საერთაშორისო დიდოსტატ ზურაბ აზმაიფარაშვილთან და საერთაშორისო ოსტატ გია გიორგაძესთან, რომლებიც თავიანთ შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ ესპანეთში ჩატარებულ ტურნეს გარშემო.

ახლახან დამთავრდა მსოფლიოს ზუთგზის ჩემპიონ ნონა გაფრინდაშვილის საიუბილეო ტურნირი, რომელსაც ვრცლად მიმოიხილავს გივი გამრეკელი. ბოლო, მერვე გვერდზე, იხილავთ გრიგოლ მამფორიას ბლიც ინტერვიუს ამავე შეჯიბრების ზოგიერთ მონაწილესთან.

შეგახსენებთ, რომ „მერანი“ ფინანსურად დამოუკიდებელი გახდა. გაზეთ „ლელოსთან“ არსებულ ამ საჭადრაკო დამატებას შეიძლება ჰყავდეს ერთი ან რამდენიმე სპონსორი. სპონსორობის უფლება აქვთ, როგორც ინდივიდუალურ პირებს, ისე ორგანიზაციებს, კოოპერატივებს, წარმოება-დაწესებულებებს და ა. შ.

შეგახსენებთ „მერანის“ ანგარიშს: თბილისი, საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი — № 100609529.

„მერანს“ თქვენი თანადგომისა და გულისხმიერების იმედი აქვს.

## ახალი წიგნები

### ჩვენი ჯანმრთელობისათვის

**არის** ნაშრომი, რომელიც შეიძლება სქელტანიანი არ იყოს, მაგრამ პირველ ყოვლისა, შინაარსით, განსაჰილველი თემის აქტუალობით დაგაშახსოვრებს თავს. ერთი ასეთი ნაშრომი — „ფიზიკური აქტივობა“ (ვარჯიშობა) მიიღო ამას წინათ, დაინტერესებულმა მკითხველმა. ავტორი — პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი შოთა მამრდაშვილი წიგნში განიხილავს ადამიანის შემოქმედების ცალკეულ სფეროში ფიზიკური აქტივობის როლს, მის მნიშვნელობასა და გამოყენების მეთოდიკას, სხვადასხვა ასაკში, ჯანმრთელობის, აგრეთვე სოციალური მდგომარეობის პირობებში პოტენციური შესაძლებლობის განვითარების კანონზომიერებებს, მოსალოდნელი ან მოულოდნელი გადაბრების კონკრეტულ მაგალითებს, მათი პროფილაქტიკის გზებს და ხერხებს, უთუოდ დაგაინტერესებთ აგრეთვე სიცოცხლის ხანგრძლივობის პრობლემა, ბიორიტმების ზეგავლენა ორგანიზმზე და ა. შ.

ეს საინტერესო წიგნი დაიბეჭდა საწარმოს პედაგოგიური გაერთიანების საგამომცემლო საბჭოს გადაწყვეტილებით. რეცეზენტები არიან გ. იაშვილი, ი. გონაძე და მ. კუტუბიძე. რედაქტორი ჯ. დადიანი. წიგნი სულ 3 ათასი ეგზემპლარი დაისტამბა, ფასი 80 კაპ.

### გაზეთ „პოლიტიკის“ ცნობით

**1992 წლის** საერთაშორისო ჭადრაკო ოლიმპიადები, როგორც ვაუთა, ისე ქალთა შორის პუეტრო-რიკოს უნდა ჩაეტარებინა, მაგრამ ამ ქვეყნის მთავრობამ, ბელგრადის გაზეთ „პოლიტიკის“ ცნობით, ფიდეს მისთვის მიუღებელი ფინანსური მოთხოვნები წაუყენა.

ამ გართულებასთან დაკავშირებით ფიდემ კითხვით მიმართა იუგოსლავიის საჭადრაკო ფედერაციას — ხომ არ ჩაატარებს იგი გაისად ვაუთა 30-ე და ქალთა მე-15 საერთაშორისო ოლიმპიადას. ისიც ცნობილი გახდა, რომ ამ შეჯიბრების მასპინძლობა საბერძეეთისა და ფილიპინებსაც სურთ.

# ახლა ვიეტვოდარ...



**10 წელი** დასჭირდა საქართველოს კუნგ-ფუ ვიეტვოდაოს ფედერაციას აზიის საბრძოლო ხელოვნების ფედერაციაში გასაწევრიანებლად. საქმე სასიკეთოდ შარშან, დეკემბრიდან შემოტრიალდა, როცა ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტი ლევან ასკურავა აზიის ფედერაციამ ინდივიდუალურ წევრად ცნო და მას ოსტატის წოდებაც უბოძა ორ სახეობაში — ვიეტვოდაოსა და ვინჩუნში. ლევანის მოწადინებამ, ვიეტნამის საბრძოლო ხელოვნების სკოლებთან მისმა ურთიერთობამ, მალე გამოიღო შედეგი: ერთ-ერთი სკოლის მეთაურის მიწვევით ცოტა ხნის წინ ვიეტნამს ესტუმრა საქართველოს ვიეტვოდაოსტთა ნაკრები (8 კაცი). სპორტსმენთა შეხვედრებისა და საკვალიფიკაციო სემინარების შემდეგ, მთავარი პრობლემაც მოიხსნა: საქართველოს კუნგ-ფუ ვიეტვოდაოს ფედერაცია ცნეს აზიის საბრძოლო ხელოვნების ფედერაციის სრულუფლებიან წევრად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქართველ სპორტსმენებს უფლება აქვთ ნებისმიერი რანგის საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღონ მონაწილეობა, საქართველოში ჩაატარონ ნებისმიერი მასშტაბის შეჯიბრებები; აგრეთვე, ჯერჯერობით მხოლოდ ლევან ასკურავას დავრთო ნება ჩაატაროს სემინარები, გამოცდები და სპორტსმენებს მისცეს მათი კვალიფიკაციის დასტური — ქამარი. ამასთან, ლევან ასკურავა აირჩიეს აზიის ფედერაციის ინსტრუქტორად, ხოლო 8 ქართველი სპორტსმენი — წევრებად.

— თურქეთში, გაიხსნება ვიეტვოდაოს შემსწავლელი კლუბები, შემდეგ, ალბათ, სპოლონეთშიც, სადაც ჩვენი მწვრთნელები იმუშავებენ, — გვითხრა ლევან ასკურავამ, — სწავლება ფასიანი იქნება, ეს კი ცოტაოდენ ვალუტას შემოიტანს ჩვენს სალაროში...

## 31 მაისი — მსოფლიო დღე თამბაქოს გარეშე!

### მკითხველი — გაზეთი

**ჩვენშიც და უცხოეთშიც ბოლო წლებში ბევრი იწერება ექსტრასენსების შესაძლებლობებზე. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ექსტრასენსების მიერ დამუხტული გაზეთის საგანგებო ნომრებიც გამოდის. როგორც ამბობენ, დამუხტული გაზეთიც კი ეხმარება ადამიანებს განკურნებაში. ნუთუ არ შეიძლება თამბაქოს მწეველებზეც ჩატარდეს ექსპერიმენტი?**

**ჰ. ხერხეულიძე,**
**ვ. სალაძე.**

**თბილისი.**

რედაქციამ ეს წერილი გააცნო სრულიად საქართველოს ექსტრასენსთა ასოციაციის „ბიოლოგიური ველის“ პრეზიდენტს იური გალდავას. შეგახსენებთ, რომ იური გალდავა დიდხანს იყო „ლელოს“ კორესპონდენტი, ბოლო წლებში კი ფსიქოთერაპიული და ექსტრასენსული სეანსებით მკურნალობის მეთოდებით გაიცნო ფართო საზოგადოება. ამ სფეროში მისი საქმიანობის შესახებ ჩვენი გაზეთი ადრე დაწერილებით იუწყებოდა.

დამუხტული გაზეთით მკურნალობის ექსპერიმენტი ი. გალდავამ ჩვენს ერთ-ერთ რესპუბლიკურ გაზეთში ერთხელ უკვე სცადა და, როგორც თავად ამბობს, შესანიშნავი შედეგი გამოიღო. იგი თანახმაა, პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ამჯერად ჩაატაროს ექსპერიმენტი იმათ დასახმარებლად, ვისაც სურვილი აქვს გადაეჩვიოს თამბაქოს წევას, მაგრამ ნებისყოფა ღალატობს.

**ყურადღება! „ლელოს“ ხვალინდელი ნომერი დამუხტული იქნება მათთვის, ვისაც სურს თავი გაანებოს თამბაქოს წევას.**

თუ როგორ უნდა იხელმძღვანელოთ დამუხტული გაზეთით, ხვალინდელ ნომერში დაწერილებით იქნება აღწერილი.

## „სპორტლოტო“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-20 ტირაჟის შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** დაშვებულია 1.456.262 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია და ამ ჯგუფისთვის განკუთვნილი მოსაგები ფონდი (10.922 მანეთი) დაემატება 21-ე ტირაჟის პირველი ჯგუფის მოსაგებ ფონდს, რომელიც გაიზარდა 116.759 მანეთამდე. 5 ნომრის გამოცნობისთვის (30) მოგება 3.320 მანეთია, ოთხისთვის (1.672) — 151.

საქართველოში: დაშვებულია 30.268 ვარიანტი. 6—0, 5—0, 4—38.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** დაშვებულია 17.301.116 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (33) მოგება 15.744 მანეთია, ოთხისთვის (5.029) — 160, სამისთვის (158.864) — 8.

საქართველოში: დაშვებულია 279.534 ვარიანტი. 5—1, (10-ტირაჟიანი ბილეთით), 4—92, 3—2.579.

მე-20 და 11-20 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1991 წლის 8 ივნისიდან 8 ივლისის ჩათვლით.

## იუმორი

წუთშეხვედრა...

ამირან ერაძის ნახატები.

## ზრანკლი ჩიტოლი ბიბლიოთეკა ალერ ხუმრობს

**კასლარი** (იტალია). „ჯირო დ' იტალიის“ მესამე ეტაპზეც მასპინძლების უპირატესობა იგრძნობოდა. 231-კილომეტრიანი დისტანციის ფინიშის ხაზი სხვებზე ადრე მარიო ჩიპოლინიმ გადაკვეთა — 6:11.52. ველოსიპედისტებმა რბოლის ამ ერთ-ერთ ურთულეს მონაკვეთზე საათში საშუალოდ 35 კმ განავითარეს, გამარჯვებულმა კი კიდევ უფრო უკეთესი შედეგი — 37,271 კმ აჩვენა. ფინიშთან მეორე ტაშკენტელი ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვი იყო, მესამე — ჯუზეპე ჩიტერიო (იტალია).

სამი ეტაპის ჯამში რბოლას კვლავ იტალიელი ფრანკო ჩიკოლი ლიდერობს — 14:21.20. მას კვალდაკვალ მიჰყვებიან თანამემამულეები — ჯოვანი ბუნეო და კლაუდიო კიაპუჩი, რომლებიც დაწინაურებულს შესაბამისად 5 და 11 წამით ჩამორჩებიან.

### 3, 2, 1 და პირიქით

**ინგლისში** დამთავრდა საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირი ამ ქვეყნის, არგენტინისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების მონაწილეობით. ბოლო შეხვედრა — ინგლისისა და არგენტინის გუნდებს შორის გაიმართა „უემბლის“ სტადიონზე. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2. თავდაპირველად დაწინაურდნენ ინგლისელები (ლინეკერი, პლატი), მაგრამ არგენტინელებმა: გარსიამ და ფრანკომ შეძლეს საპასუხო ბურთების გატანა.

ამრიგად, ინგლისელებმა ტურნირში 3 ქულა მოაგროვეს. და პირველ ადგილზე გავიდნენ. მეორე ადგილზე არიან არგენტინელი (2 ქულა), მესამეზე — საბჭოთა კავშირის ფეხბურთელები (1 ქულა).

### ბინესის წიგნში მოხვდება!

**გერმანელი** ფეხბურთელი რუდი გუტერდორფი, მიმომხილველთა აზრით, იმსახურებს, შევიდეს გინესის რეკორდების წიგნში. რატომ? იგი 31 წლისაა, მაგრამ, უკვე „მოახერხა“ ეთამაშა 51 სხვადასხვა კლუბში და ამას გარდა, სამ სხვადასხვა ეროვნულ ნაკრებში.

### სანჩესს რომ ეთამაშა?!

**ცნობილი** ავსტრიელი თავდამსხმელი ანტონ პოსლტერი ძალიან მაღალი აზრისაა მექსიკელ უგო სანჩესზე. როგორც „სევილიას“ მოთამაშე, პოლსტერი სისტემატურად ადევნებს თვალყურს მექსიკელის, გამოსვლებს მადრიდის „რეალში“. პოლსტერი იმასაც კი ფიქრობს, რომ ესპანეთის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონი გახდებოდა, თუკი სანჩესის გამოყენების საშუალება მიეცემოდა.

ვინ იცის!

### ტიტა — ჯიუტი სამბას მოყვარული

**ბრაზილიელი** ფეხბურთელი მილტონ კუეროში ფეხბურთის სამყაროში ტიტას სახელით არის ცნობილი. ეს 33 წლის ოსტატი ახლა „ვასკო და გამაში“ გამოდის, მანამდე კი „ბაიერში“ (ლევერკუზენი) თამაშობდა. უნდა ითქვას, რომ ბრაზილიელი ოსტატი მკაცრ გერმანულ წესებს მაინც და მაინც ვერ შეეგუა და სულ მალე „ჯიუტი სამბას მოყვარულის“ სახელიც დაიმსახურა. გერმანელებს განსაკუთრებით არ მოსწონდათ ტიტას დიდი მხიარულება, ის, რომ იგი ძალზე გატაცებული იყო სიმღერით — ტიტა ხომ მომღერალიც არის და კომპოზიტორიც. ჩვენ მომღერლები და კომპოზიტორები არ გვაკლიაო — უთხრეს მას გამომშვიდობებისას გერმანელებმა.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა უ. ჭიკანაძე, კორექტორები: ქ. ქავთარაძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
ფოსტალიონისთვის — 380098
თბილისი, ჭ. კოსტავას, 14,
ტელეფონისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივანი — 96-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54
„ფირნი“ — 93-97-26, „ფირნი“ — 93-97-27.

ინდექსი
INDEX
ИНДЕКС
66435

რედაქცია გულდასმით ეცნობა მკითხველთა წერილებს, მაგრამ ყოველ მათგანზე გამოხმაურებისა და პასუხის გაცემის საშუალება არ გაგვაჩნია. შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „ხელოვნების“ სტამბა. 380009, თბილისი, ჭ. კოსტავას, 14. ოფსეტური წესით, ხელოვნური ყორეულში, სიფარულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20